აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №15

25/10/2020 წელი **ქ. ბათუმი**
17[00]საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: ნოდარ მელაძე, სოფიო კახაძე, ირაკლი გვარჯალაძე, მარიამ გუგუნავა, ირაკლი გვარამია, კობა გაბაიძე, რამაზ ფირცხალაიშვილი და ტარიელ გოგიტიძე.

არ ესწრებოდნენ: კახაბერ ჯაიანი, დავით ჯინჯოლავა და დავით ქარცივაძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ;

2. განკარგულება
სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, იზოლაციაში (კარანტინში, თვითიზოლაციაში) და სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი მოქალაქეებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების სპეციალური ჯგუფების წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

3. სხვადასხვა.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის თანახმად, კომისიის წევრს უფლება აქვს დღის წესრიგის დამტკიცებამდე მოითხოვოს დამატებითი საკითხის დღის წესრიგში შეტანა, რის შემდეგაც კომისიას შესთავაზა დღის წესრიგში საკითხის დამატება - განკარგულების „საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის №38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, სხდომის თავმჯდომარემ კომისიას განუმარტა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ 2020 წლის 20 ოქტომბრის №14 სხდომაზე საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დანიშნული უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრები: ტარიელ გოგიტიძე და ირაკლი გვარჯალაძე ვერ ახერხებენ დაკვირვების განხორციელებას შესაბამისად, უსკოს მიერ დანიშნული უნდა იქნეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხვა წევრები, რომლებიც დააკვირდებიან ბეჭდვის პროცესს, რის შემდეგაც კომისიას შესთავაზა წარდგენილი დღის წესრიგის პროექტში ზემოაღნიშნული საკითხის დამატება.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტში „საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის №38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამატების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ;

2. განკარგულება
სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, იზოლაციაში (კარანტინში, თვითიზოლაციაში) და სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ

დაწესებულებებში მყოფი მოქალაქეებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების სპეციალური ჯგუფების წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

3. განკარგულება
„საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის №38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

1. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ;

მოისმინეს: ხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტი, ისაუბრა დადგენილების მიღების მნიშვნელობაზე და მისი მიღების აუცილებლობაზე რის შემდეგაც მუხლობრივად განიხილა ყველა ის მნიშვნელოვანი დეტალი რაც დადგენილების პროექტით იყო წარმოდგენილი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი:)

მიღებულია დადგენილება

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 199-ე მუხლითა და „სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში

(კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის, საარჩევნო უბნებისა და სპეციალური ჯგუფების შექმნის, ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 19 ოქტომბრის №45/2020 დადგენილებით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად, საჭიროა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ საარჩევნო უბნებისათვის განისაზღვოს კანონით გაუთვალისწინებელი ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1.

„სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის, საარჩევნო უბნებისა და სპეციალური ჯგუფების შექმნის, ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 19 ოქტომბრის №45/2020 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ საარჩევნო უბნებზე მათ შორის კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ უსკოს წევრებს, უსკოს წარმომადგენელებს და უსკოს აპარატის თანამშრომლებს.

მუხლი 2.

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. განკარგულება

სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, იზოლაციაში (კარანტინში, თვითიზოლაციაში) და სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი მოქალაქეებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების სპეციალური ჯგუფების წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „სტაციონალურ სამკურნალო დაწესებულებებში, იზოლაციაში (კარანტინში, თვითიზოლაციაში) და სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი მოქალაქეებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების სპეციალური ჯგუფების წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „სტაციონალურ სამკურნალო დაწესებულებებში, იზოლაციაში (კარანტინში, თვითიზოლაციაში) და სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი მოქალაქეებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების სპეციალური ჯგუფების წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	9;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი:)

მიღებულია განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაციაში) მყოფი მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი, საარჩევნო უბნებისა და სპეციალური ჯგუფების წევრებისა და ხელმძღვანელი პირებზე,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნილი საარჩევნო უბნებისა და სპეციალური ჯგუფების წევრებისა და ხელმძღვანელი პირებზე გაიცეს შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე გასაცემი შრომის ანაზრაურების (თანამდებობრივი სარგო) ოდენობა, (კარანტინში განთავსების დღიდან უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე და არჩევა/დანიშვნის დღიდან უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე პერიოდში) განისაზღვროს „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საარჩევნო უბნებისა და სპეციალური ჯგუფების წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 19 ოქტომბრის №279/2020 განკარგულებით და „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების და სპეციალური ჯგუფების წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 19 ოქტომბრის №280/2020 განკარგულებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგოს) 50%-ის ოდენობით.

3. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტს.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება
„საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის №38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების

	დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის №38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტი.
აზრი გამოთქვეს:	კომისიამ სხდომაზე მსჯელობის შედეგად ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბიულეტენის ბეჭდვის პროცესს კომისიის წევრებიდან დააკვირდებოდნენ უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი: - მარიამ გუგუნავა და რამაზ ფირცხალაიშვილი.
	სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის №38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.
	კენჭისყრის შედეგები:
	მომხრე 9; წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი:)

მიღებულია განკარგულება

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 63-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-60 მუხლისა და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის №38 განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

„ა. მარიამ გუგუნავა - უსკოს წევრი;
ბ. რამაზ ფირცხალაიშვილი - უსკოს წევრი.“

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **სოფიო კახაძე**